ოქმი:**ო12. 3724177001**

თარიღი:**25/06/2024**

ოქმი N 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2024 წელი, 25 ივნისი
ქ.ოზურგეთი
14:00 - საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ნადირაშვილი, ხ. ცერცვაძე, ვლ. ხავთასი, მ. ვაშალომიძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. სარჯველაძე, ს. ქარცივაძე, ხ. თავდიშვილი, დ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ.კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივლისის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, გ.ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო სამართლებრივი აქტის პროექტი, დაწვრილებით საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა მომხსენებელმა, ხ.სურგულაძემ. აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნებს წარმოადგენს:

ა) სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული/თვითდასაქმებული პირების მხარდაჭერა.

ბ) იმ პირების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, რომელთა მიმდინარე/სამომავლო საქმიანობა მიმართულია ადგილობრივი წარმოების ზრდის, აგროტურისტული პოტენციალის განვითარების, საოჯახო მეურნეობის გაფართოებისა და პოპულარიზაციისაკენ.

გ) ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა.

დ) დასაქმების ხელშეწყობა.

კომისიის წევრებმა საკითხი განიხილეს, იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ.კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივლისის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი